პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 184 (3161) 21

1966 წ. სექტემბერი. — ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ დორტმუნდში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ტანმოვარჯიშეთა XVI მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც გამოდიან სსრ კავშირის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები.

ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ფორუმი პირველად 1903 წელს მოეწყო. საბჭოთა სპორტსმენები კი ამ დიდ შეჯიბრებაში 1954 წლიდან მონაწილეობენ. 1962 წელს პრაღაში გამართულ უკანასკნელ ჩემპიონატზე ოქროს მედლების ლაურეატები გახდნენ ლ. ლატინინა და ი. ტიტოვი. საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდმა დაიკავა I ადგილი, ვაჟებმა — II. მას აჯობა იაპონიის ნაკრებმა. ჩვენი ქვეყნის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები კარგა ხანია ემზადებიან ამ სპასუხისმგებლო ასპარეზობისთვის. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კვლავ დიდი ბრძოლა გაჩაღდება სსრ კავშირისა და იაპონიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა შორის. ქალთა გუნდებში ვარაუდობენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ნაკრებთა დაძაბულ პაექრობას.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები ლ. პეტრიკი (მარცხნივ) და ნ. კუჩინსკაია ვარჯიშის დრო.

! ... სპორტი !

◆ **ლა ვალენტე**, 20 სექტემბერი. ფეხბურთში თასის მფლობელთა თასზე გათამაშების მეოთექვსმეტედფინალის I მატჩში მალტის „ფლორიანამ“ ფრედ — 1:1 ოთამაშა როტერდამის „სპარტასთან“.

◆ **ბუქარესტი**, 20 სექტემბერი. რუმინეთის ჩემპიონობა მეხუთედ მოიპოვა ახალგაზრდა დიდრსტატმა ფ. გეორგიუმ. 30-ე საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატში მან დააგროვა 14,5 ქულა.

◆ **ლონდონი**, 20 სექტემბერი. ინგლისის დედაქალაქში გაიმართა ქალთა პირველი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ სიარულში. გაიმარჯვა ჯ. ფარიმ (ინგლისი). მან 5 კილომეტრი 28.35,6-ში დაფარა. ფინიშზე მეორე იყო 15 წლის ბოლანდიელი მოსწავლე ლ. კრონი, რომელიც გამარჯვებულს 6,8 წამით ჩამორჩა.

◆ **ლისაბონი**, 20 სექტემბერი. სალამოს გაზეთმა „დიარიო პოპულარმა“ მოაწყო მკითხველთა გამოკითხვა — ვინ არის მიმდინარე წლის პორტუგალიის ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელი. ხმების უმრავლესობა მიიღო მოზამბიკელმა ზანგმა, ინგლისის ჩემპიონატის წარაპერმა ეუსებიომ.

◆ **დორტმუნდი**, 20 სექტემბერი. აქ გამოცხადდა ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საბჭოთა გუნდების საბოლოო შემადგენლობა. ქალებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი, პ. ასტახოვა, ლ. ლატინინა, შ. დრუჟინინა, ო. ხარლოვა, ვაჟებში — ს. დიომიდოვი, მ. ვორონინი, ი. ტიტოვი, ვ. კარასიოვი, ბ. შახლინი, ვ. კერდემელიდი.

◆ **მოსკოვი**, 20 სექტემბერი. აქ ოფიციალურად გამოცხადდა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის ნახევარფინალების ჩატარების თარიღები და ადგილი. 7 ოქტომბერს ლენინგრადში ითამაშებენ „ტორპედო“ (მოსკოვი) და „ჩერნომორეცი“ (ოდესა), 9 ოქტომბერს თბილისში — „დინამო“ (კიევი) და „დინამო“ (მინსკი).

ᲝᲠᲯᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ამას წინათ ქაიროლმბერგში გაიმართა ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, გდრ-ის, გფრ-ის, ავსტრალიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო ათლეტები. ასპარეზობა თერმეტ სახეობაში მიმდინარეობდა, რომელთაგან ათში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა იმარჯვეს და მხოლოდ ერთი — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო მსოფლიოს რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა დ. დიკსენმა — 54,4.

საინტერესო იყო ფინალური გაცურვა 100 და 200 მეტრზე ბრასით. თბილისელი ა. ტუტაკაევის წინააღმდეგ აქ მსოფლიოს 7 საუკეთესო ათლეტი გამოდიოდა, ფინიშთან კი ორივეჯერ პირველი ტუტაკაევი იყო, რომელმაც შესაბამისად 1.11,2 და 2.35,3 აჩვენა. ორი გამარჯვება ნოიპოვა მოსკოველმა ვ. პლეტნიოვმაც. მან ყველას აჯობა 200 მეტრზე (2.01,9) და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 17.30,1.

ამ ტურნირზე დამსწრე ამერიკელი სპეციალისტები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ საბჭოთა მოცურავეების კლასი კიდევ უფრო ამაღლდა და თუ ისინი ამ ტემპით განაგრძობენ პროგრესს, მეხიკოს ოლიმპიადაზე აშშ-ის სპორტსმენებს პოზიციების შენარჩუნებისათვის გაორკეცებული ენერგიით ბრძოლა დასჭირდებათ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

კირჯალი. ბულგარეთის ზრავალდღიანი ველობრბოლის მეოთხე ეტაპი — პლოვდივი — კირჯალი მოიგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლ. ამპლერმა. გამარჯვებულმა 163-კილომეტრიანი რთული დისტანციის გავლას 4 საათი, 29 წუთი და 27 წამი მოანდომა. ძნელად გასავლელი აღმართის შემდეგ წინ გაიჭრნენ საბჭოთა სპორტსმენი გ. საიდხუჟინი, იტალიელი დე გრანდისი და ა. კირილოვი (ბულგარეთი). მაგრამ ლიდერებს ბედმა უმტყუნა — სამივე ველომანქანა დაზიანდა. ამით ისარგებლეს გდრ-ის მრბოლელებმა და დაწინაურდნენ. მათ მოიგეს გუნდური პირველი ადგილიც ამ ეტაპზე — 13:13.10.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 21 სექტემბრისათვის

ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲚᲘᲑᲐᲜᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	26	18	7	1	53—12	43
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	13	7	7	43—26	33
ცსკა	23	13	6	4	51—30	32
ასკ (როსტოვი)	25	14	2	9	40—37	30
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	24	11	7	6	33—28	29
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	23	8	12	3	24—16	28
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	25	10	7	8	32—21	27
„დინამო“ (მინსკი)	25	9	8	8	28—27	26
„დინამო“ (მოსკოვი)	24	9	7	8	34—26	25
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	26	10	5	11	32—40	25
„კაირატი“ (ალმა-ათა)	23	9	6	8	21—22	24
„დინამო“ (თბილისი)	24	7	9	8	26—25	23
„შახტიორი“ (დონეცკი)	24	9	4	11	24—30	22
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	26	6	10	10	23—30	22
„არარატი“ (ერევანი)	25	6	8	11	18—36	20
„ტორპედო“ (ქუთაისი)	25	7	4	14	32—47	18
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	24	3	11	10	15—32	17
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	24	5	4	15	18—35	14
ასკ (ოდესა)	25	1	8	16	11—38	10

მოსკოვი. 20 სექტემბერი. დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდები. გაიმარჯვა „დინამომ“ — 1:0 (ბურთი 75-ე წუთზე გაიტანა ა. ბიშოვეცმა).

"Ჯ" ᲚᲘᲒᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ I ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲓᲦᲔᲡ, ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗ

ლანჩხუთი, 20 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი ᲡᲠᲔᲒ. კორ.). აქაურ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ფიზკულტურული კოლეჯტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურმა მატჩმა ლანჩხუთის „გურიასა“ და ლვოვის გუნდს შორის. თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ისინი გაუდმებით უტევდნენ მეტოქის კარის მისადგომებს და მხოლოდ მე-19 წუთზე შეძლეს თავიანთი ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაცია, როცა ნარიაშვილმა გახსნა ანგარიში — 1:0. შეხვედრის მეორე ნახევარში ლვოველმა კოვაჩმა აღადგინა წონასწორობა — 1:1.

თამაშის 90 წუთი ისე მიიწურა, რომ მეტოქეებმა ვერ შეძლეს ანგარიშის შეცვლა. ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა გამარჯვებული, თუმცა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა უფრო მეტად მასპინძლებს ჰქონდათ.

21 სექტემბერს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1966 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ





ამას წინათ თბილისში დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს ველოსიპედისტთა ფორუმი — საქართველოს პირველობა საგზატკეცილო რბოლაში. 20-კილომეტრიან ტრასაზე გუნდურ ასპარეზობაში თავი გამოიჩინა „განთიადის“ წევრმა ვ. პოდოლსკაიამ, რომელმაც ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა (სურათზე მარცხნივ). წარმატება ხვდა წილად „კოლმეურნის“ წარმომადგენელ ლ. ხრიკვინას, რომელმაც I ადგილი დაიკავა 25 კმ ჯგუფურ რბოლაში (შუაში). აღსანიშნავია, რომ მან უკან ჩამოიტოვა ისეთი გამოცდილი ველოსიპედისტები, როგორიცაა განთიადელები ვ. პოდოლსკაია და ვ. გვოზდიკოვა. მარჯვენა ფოტოზე თქვენ ხედავთ საქართველოს ჩემპიონს ჭაბუკთა შორის, დინამოელ ვ. ფეტისოვს რბოლის დისტანციაზე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

თაოსანთა მიმდევრები

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობების მშრომელთა პატრიოტულმა თაოსნობამ.

სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. ლოგუა) გამგეობის ინიციატივით მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი მძლეოსნური სექტორებით. შეიძინეს 1500 მანეთის სპორტინვენტარი.

დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. ქადარია) სპორტის მოყვარულ ახალგაზრდობას ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები. მოეწყო მძლეოსნური სექტორები და ბილიკები.

ჭკადუაშის და რუხის „საქართველოს“ სახელობის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები კ. გედენიძე და ა. კუტალია), ხეცურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა) მალე მზად იქნება კომპლექსური სპორტული ბაზა. ...ბეზს ... ინის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში განზრახულია მოეწყოს ფეხბურთის მინდვრები, მძლეოსნური სექტორები.

ბ. ალშიბაია.







საბრძოლო გმირობის ნმინდა აღგილებში

6 სექტემბერს მოსკოვს გაემგზავრნენ თაობათა ერთობის დღესასწაულს — ხალხის გმირობის ახალგაზრდა მეკვლეთა მეორე სრულიად საკავშირო შეკრების მონაწილენი. დელეგაციაში, რომელსაც საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია ხელმძღვანელობდა, შედიოდნენ თბილისის, რუსთავის, აფხაზეთის, ღუშეთის, გურჯაანისა და სამტრედიის წარმომადგენლები, მარუხის უღელტეხილის გმირები ვ. რუხაძე და გ. ლომიძე, ლენინის ორდენოსანი მეჩაე ზ. გერგედავა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცნობილი მეფოლადე დ. ბარათაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. შეტრეველი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე რ. პოპოვა, საქართველოს ტურისტული საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე ჯ. ჯიშიაშვილი და სხვები.

მოსკოვში, კურსკის ვოგზალზე საქართველოს წარგზავნილებს თაიგულებით შეხვდნენ მოსკოველი პიონერები. სადგურ გაიმართა აღლუმი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ვ. კოვალმა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე ტურისტული მოგზაურობის მონაწილეთა საკავშირო შტაბის, თავმჯდომარეს მარშალ ი. კონევს ახალგაზრდობის მზადყოფნა უპატაკა. ი. კონევმა შეკრება ვახსნა. მაღალ ანძებზე საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დროშები აფრიალდა, აგიზგიზდა ხალხთა მეგობრობის კოცონი. შემდეგ ტურისტთა აღლუმი და დიდი კონცერტი სტადიონზე... მეორე დღეს კი ტურისტებმა დაათვალიერეს გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლის ადგილები და დიდი მიტინგი მოაწყეს. მიტინგი გაიმართა ზოგია კოსმოდემიანსკაიას ძეგლთანაც. მოგონებებით გამოვიდნენ გმირი საბჭოთა ქალიშვილის თანამებრძოლები, შემდეგ კი ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ძეგლის ირგვლივ ხეები დარგეს.

ტურისტები იყვნენ ბოროდინოს ველზეც. ნახეს პეტრე ბაგრატიონის საფლავი. დიდი ინტერესით დათვალიერეს „ბოროდინოს მუზეუმი“. 11 სექტემბერს წითელ მოედანზე შედგა მიტინგი და შეკრების მონაწილეებმა მიიღეს ფიცი. ტუშინოს აეროდრომზე კი საავიაციო დღესასწაული გაიმართა. შეკრების ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო მედალი. ტურისტული კლუბი „ეთერი“ დაჯილდოდა III ხარისხის დიპლომით. დიპლომი გადაეცათ რუსთაველ ტურისტებსაც.

მომავალი შეკრება ლენინგრადში გაიმართება.

რ. გაგრიჩიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

სურათებზე: ზევიდან ქვევით — საქართველოს დელეგაცია გორკის ქუჩის გავლით მიემართება წითელი მოედნისკენ; შეკრების მონაწილე პირველ ქართველ მთამსვლელ ქალს მ. ტყავაძეს სამახსოვრო მედალს გადასცემს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვეზიროვი; შეკრების ქართველი მონაწილენი ბოროდინოს ველზე, პეტრე ბაგრატიონის საფლავთან.

ფოტო ავტორისა.

25 დეკემბერს — თბილისში

ვინ შეხვდება ტ. პეტროსიანს მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მატჩში 1969 წელს, ჯერ არ არის ცნობილი. მანამდე მრავალ ქვეყანაში ზონალური ტურნირები უნდა ჩატარდეს. აქ გამარჯვებულნი კი საზონთშორისო ტურნირზე შეიკრიბებიან. 6 პრიზიორი, აგრეთვე, ბ. სპასკი და მ. ტალი ერთმანეთში გაითამაშებენ მატჩებს მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებისთვის. ჯერ კი წინ ზონალური ტურნირებია. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება იქნება სსრ კავშირის ვაეთა XXXIV ჩემპიონატი, რომელიც 25 დეკემბერს აიღებს სტარტს თბილისში.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ ჩემპიონატის ფინალში პერსონალურად მოიწვია დიდოსტატები ტ. პეტროსიანი, მ. ბოტვინიკი, ბ. სპასკი, მ. ტალი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ვ. კორჩნოი, ლ. შტეინი, დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, მ. ტაიმანოვი და ლ. პოლუგაევსკი. დანარჩენ მოჭადრაკეთათვის დაინიშნა 4 ნახევარფინალი კრასნოდარში, ვილნიუსში, ირკუტსკსა და ორიოლში. ამ შეჯიბრებებში 70-მდე კაცი ჩაება. თვითეული ტურნირიდან ფინალში სამ-სამი პრიზიორი გადიოდა.

ეს -ესაა ნახევარფინალები დამთავრდა. აი, ფინალისტები: ა. გიასლისი (რიგა), ა. ლეონი (ლენინგრადის ოლქი), ე. გუფელდი (კიევი) — კრასნოდარის ნახევარფინალიდან, ი. ნეი (ტალინი), ა. სუეტინი (მინსკი), ვ. დოროშკევიჩი (გროზნო) — ვილნიუსის ნახევარფინალიდან, ი. ნიკოლაევსკი (კიევი), ნ. კოგოგუსი (სარატოვი), ვ. ლიბერზონი (მოსკოვი) — ირკუტსკის ნახევარფინალიდან. რ. ხოლმოვი (სოჭი), ვ. სავონი (ხარკოვი), ვ. ოსნოსი (ლენინგრადი) — ორიოლის ნახევარფინალიდან.

შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობდნენ თბილისელი ოსტატებიც — ბ. გურგენიძე (ირკუტსკში), რ. ჯინჯიხაშვილი და ა. ბუსლაევი (კრასნოდარში). ბ. გურგენიძემ V-VI ადგილები გაიყო 9,5 ქულით (17-დან), რ. ჯინჯიხაშვილმა — XII-XIII 8 ქულით, ხოლო ა. ბუსლაევმა XVI ადგილი დაიკავა.

ბ. გურგენიძე ყოველ პარტიას შემოქმედებითად თამაშობს, რასაც დიდი ესთეტიური სიმხნევე და ფიზიკური ძალა სჭირდება. შეამჩნევა, რომ ტურნირის პირველ ნახევარში იგი მუდამ კარგად გამოდის, მეორეში კი — უფრო სუსტად. ასე მოუვიდა გურგენიძეს მაგალითად წლეულს, ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე და თითქმის იგივე გამეორდა ნახევარფინალშიც. 10 ტურის შემდეგ ქართველ მოჭადრაკეს 7 ქულა ჰქონდა და I ადგილზე იყო. მომდევნო 7 ტურში მან 3 პარტია წააგო შედარებით სუსტ მეტოქეებთან, ამდენივე ყაიმით დაამთავრა და 1 მოიგო. ბ. გურგენიძე თვითონ ამბობს, რომ ვერ გაუძლო დაძაბულ ბრძოლას. მაშასადამე, ნიჭიერმა ოსტატმა შემდგომში დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ფიზიკურ მომზადებას.

რ. ჯინჯიხაშვილს, პირიქით, უჭირს მოზღვავებული ენერგიის დათრგუნვა. ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იგი ყველას თავიდანვე მოგებისთვის ეთამაშება და სრულიად არ ითვალისწინებს სატურნირო მდგომარეობას. ნახევარფინალის ფინიშზე (ბოლო ოთხ პარტიაში) წინდაუხედავმა თამაშმა ჯინჯიხაშვილს ზედიზედ 3 პარტია წააგებინა, მაშინ, როცა ფინალში ვასვლის დიდი შანსები ჰქონდა. საერთოდ, მისასალმებელია, რომ ჩვენში გამოჩნდა კიდევ ერთი ოსტატი (ბ. გურგენიძის შემდეგ), რომელიც ფინალის ღირსეული კანდიდატია. რ. ჯინჯიხაშვილი პირველად თამაშობდა ნახევარფინალში და გამოცდილება არ ეყო სამეულში მოსახვედრად.

ა. ბუსლაევი ბოლოს მეტი მონდომებით იბრძოდა. მან პირველ ცხრა ტურში მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა, X-XVII ტურებში კი — 4,5.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი უკვე შეუდგა დიდი ტურნირისთვის მზადებას. დიდოსტატების სტუმრობა ჩვენში ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაციისთვის უნდა გამოვიყენოთ.

მოსალოდნელია რომ ფინალში არ ითამაშონ ტ. პეტროსიანმა, მ. ბოტვინიკმა, მ. ტალმა და ბ. სპასკიმ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი და რიგელი დიდოსტატი მაინც ჩამოვლენ თბილისში და გულშემატკივრებს შეხვდებიან.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი

ამოცანა

შ. ადე (თბილისი)



შამათი 4 სვლაში.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ავტოსპორტში** — ო. კაკნაველიძეს, ე. ბალაიანს, ს. სტეპანოვს, ვავიანს (ყველანი — თბილისის დოსაფი).

● რბენა ინფარქტის წინააღმდეგ

ახალზელანდიური პრესა იუწყება, რომ მძღოლსანთა ცხობილი მწვრთნელის ა. ლიდიარდის მიმდევართა რიცხვი სისტემატურად იზრდება. როგორც ცნობილია, ლიდიარდმა წინადადება წამოაყენა, რბენა „ინფარქტის“ საწინააღმდეგო საშუალებად ვაქციოთო. სხვა სიტყვებით, მასობრივი გაჯანსაღების საშუალებად გამოვიყენოთო. ამას წინათ ახალ ზელანდიაში ლიდიარდის საპატიო თავმჯდომარეობით შეიქმნა კლუბი, რომლის დევიზია: „ირბინე, თუ სიცოცხლე გინდა“. კლუბის წევრები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად — „მორბენლები“ და „იოგები“. პირველნი დარბიან იმიტომ, რომ „მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში, აჩვენონ მაღალი შედეგები, შეეჯიბრონ ისეთ სახელგანთქმულ სპორტსმენებს, ლიდიარდის აღზრდილებს, როგორიც არიან სნელი, ჰალბერგი და დევისი. „იოგები“ კი ყოველივე ამის პრეტენზიას არ აცხადებენ. მათი მიზანია ცხოვრების სიხარულითა და ბედნიერებით ტკბობა. შრომის შემდეგ სიამოვნებით დასვენება“.

აი, რას გადმოსცემს ოკლენდიდან იტალიური „გაზეტი დელო სპორტის“ კორესპონდენტი:

„გვიან საღამოს ქალაქის ქუჩებში, პარკებისა და ბაღების ბილიკებზე შეამჩნევთ მორბენალთა ჯგუფებს. მოხუცები და ახალგაზრდები დარბიან, ელაპარაკებიან ერთმანეთს, ან ჩუმად არიან, წრეს წრეზე უვლიან. საღამოს ქალაქი სტადიონს მოგაგონებთ. ლიდიარდის მოძრაობამ მეფრი აღაფრთოვანა და არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ მსოფლიოს სარბენ ბილიკებზე მომავალშიც შეხვდებით ახალი ზელანდიის შესანიშნავ მძღოლებს“.

● მრევლისთვის ზრუნვა

ეს ამბავი დასავლეთ გერმანიის პრესისთვისაც კი ხენსაცია იყო. ვინმე ე. ჰაპმა ჩაბარა გამოცდები და ფეხბურთის მწვრთნელის დიპლომი მიიღო. ეს არავის გაუკვირდებოდა, რომ ე. ჰაპი კლეინვალშტადტის თემის პასტორი არ ყოფილიყო. რად დასჭირდა ღვთის მსახურს „მეორე სპეციალობა?“.

„მე თანამედროვე ადამიანი ვარ, — თქვა ე. ჰაპმა, — და კარგად ვიცი, რა მიმართულებები მეფობს დღეს მსოფლიოში. როცა ვგრძნობ, რომ მორწმუნეთა რიცხვი თანდათან მცირდება, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, გადავწყვიტე სხვა მეთოდისთვის მიმემართა“. პასტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეკლესიამ ყველა საშუალება

ყოველი

ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲜᲔᲚᲘ

● ვენა, 19 სექტემბერი. „პრატერ-სტადიონზე“ 45 ათასი მაყურებელი დაესწრო ავსტრიისა და ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრას. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

● ჰელსინკი, 19 სექტემბერი. ჩვენი ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქე ევროპის პირველობის შესარჩევ თამაშებში — ფინეთის გუნდი, გამოდიოდა ჩრდილოეთის ქვეყნების ჩემპიონატზე. ოლიმპიურ სტადიონზე მან გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 2:1 მოუგო დანიელ ფეხბურთელებს და მოიპოვა ტურნირში გამარჯვებულის სახელი.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

საილუსტრაციოდ ესეც კმარა

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის დაწყებამდე ერთ წელზე ნაკლები დარჩა. ეს ის პერიოდია, რომელიც გუნდების ჩამოყალიბებას კი არა, მათი ტექნიკის სრულყოფას უნდა მოხმარდეს. ცხადია, ამ ამოცანას ისახავს მიზნად საქართველოს მოცურავეთა ნაკრებიც. მაგრამ ბათუმში ჩატარებულმა შეჯიბრებებმა დაგვაარწმუნა, რომ ჩვენი კოლექტივის სრულყოფის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ამოცანაა გადასაჭრელი.

ბათუმის „სპარტაკის“ აუზში ორ დღეს გრძელდებოდა 3 რესპუბლიკის— უკრაინის, ყაზახეთისა და საქართველოს მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა. ასპარეზობამ ჩვენი სპორტსმენების უსუსურობა დაადასტურა. გუნდურ ჩათვლაში მასპინძლები ბოლო ადგილზე გავიდნენ. სტუმრებს გუნდურ ჩათვლაში საგრძნობლად ჩამორჩნენ, პირად პირველობაში კი მხოლოდ 3 გამარჯვება მოიპოვეს: ნ. ჭუმბაძემ ქალთა 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ისახელა თავი — 1.17,9. ა. იოაკიმიდი პირველი იყო ვაჟთა შორის ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვაში — 2.27,1, ხოლო გ. კარბუკოვი — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.15,1. სხვა სახეობებში სტუმრები პირველობდნენ. უკრაინელებმა 18 სპორტული ადგილი დაიკავეს, ყაზახეთის სპორტსმენებმა კი — 13. ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში ჩვენმა გუნდმა შეიძლება წაგოს არა მარტო უკრაინასთან, არამედ ყაზახეთის მეცურავეებთანაც.

მატჩში განცდილი მარცხის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს სპორტსმენები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ და რესპუბლიკის პირად-გუნდურ პირველობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებით მაინც მოახდენდნენ ერთგვარ რეაბილიტაციას. სამწუხაროდ, ვარაუდი კი არ გამართლდა, პირიქით, ჩვენი რესპუბლიკის მეცურავეთა მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუარესდა. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში გუნდები მხოლოდ თბილისმა და აჭარამ გამოიყვანეს, დავწმუნდებით, რამდენად არასახარბიელო მდგომარეობაა პერიფერიებში ცურვის განვითარებაში. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ასპარეზობას თავი აარიდეს აფხაზეთისა და ქუთაისის კოლექტივებმა.

ამრიგად, ჩემპიონატის პირველსავე დღეს საპრიზო ადგილების მოპოვებისთვის მაინცდამაინც დიდი საზრუნავი არ ჰქონდათ მონაწილეებს. გაცურვები ვერც ხალხმრავლობით ვერ დაიკადნის. მონაწილეთა სიმცირემ გამოიწვია ისიც, რომ სპორტსმენებს ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის არც ერთი შედეგი არ უჩვენებიათ. უფრო მეტიც, I თანრიგის ნორმატივი 6-მა სპორტსმენმა შეასრულა, ორმა საპრიზო ადგილი III თანრიგის შედეგით დაისაკუთრა, 200 მეტრზე ბატერფლაით ქალთა ცურვის სტარტზე კი მხოლოდ თბილისელები ნ. ჟიგალიოვა (2.57,6) და რ. გოჩიტაშვილი (3.07,7) გამოვიდნენ. III საპრიზო ადგილი გაუთამაშებელი დარჩა.

ნ. ჟიგალიოვა ფაქტიურად ერთადერთი სპორტსმენი იყო, რომელმაც სამატჩო შეხვედრაში ნაჩვენები შედეგი — 3.03,2 ამ ასპარეზობაში გაუმჯობესა. სხვები ფინიშისკენ ამკარად დუნედ მიცურავდნენ. რესპუბლიკის ახალმა ჩემპიონმა ქალთა შორის 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში თ. ლეკვეიშვილმა მატჩში 2.52,5 აჩვენა, ახლა კი — 2,8 წამით უარესი შედეგი. მას არც გ. კასატკინი ჩამორჩა. 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში მატჩში მან გ. მაქსიმოვთან (ყაზახეთი) — 2.35,1 მხოლოდ 0,1 წამით წააგო. ახლა კი 2.39,3 აჩვენა.

ამგვარი ფაქტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ ესეც კმარა. ერთი უდავოა: საქართველოს მეცურავეთა ნაკრების ხელმძღვანელობამ სპორტსმენთა ტექნიკური შედეგების ზრდისთვის ყველა ღონე უნდა იხმაროს. სხვა შემთხვევაში ხალხთა სპარტაკიადაზე წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

ო. მურვანიძე.

პირველი დღის ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები. 200 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ა. სოხოვა — 2.51,9, ი. ბახი — 2.56,9, ვ. შაშყოლაშვილი (ყველანი — თბილისი) — 3.03,8; 200 მ ბრასით ცურვა — ი. ეფიმოვა — 3.10,8, ე. მძინარიშვილი — 3.18,5, მ. ლაბაძე (ყველანი — თბილისი) — 3.35,5; 200 მ ზურგზე ცურვა— თ. ლეკვეიშვილი — 2.55,3, ვ. ბახი — 3.10,7, მ. საღარაძე — 3.16,7 (ყველანი — თბილისი); **ვაჟები.** 200 მ თავისუფალი სტილით ცურვა — გ. კარბუკოვი — 2.17,3, ბ. ნიკიტინი (ორივენი — თბილისი) — 2.19,3, ა. არტამანოვი (აჭარა) — 2.20,2; 200 მ ბრასით ცურვა — ი. კირდიანოვი — 2.52,2, ე. სიდელნიკოვ — 2.52,3, კ. ონისიმოვი (ყველანი — თბილისი) — 2.53,8; 200 მ ზურგზე ცურვა — გ. კასატკინი — 2.39,3, რ. შაინიანი — 2.45,5, ლ. ბაგაური (ყველანი — თბილისი) — 2.49,7; 200 მ ბატერფლაით ცურვა — ა. იოაკიმიდი — 2,35,2, ვ. ონუფრიენკო — 2. 49,9, ბ. შიხიკიანი (ყველანი — თბილისი) — 3.10,7.

• • •

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ა. იოაკიმიდი ასპარეზობის დროს.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.



განა მარტო საარქივო საბუთებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა ინტერესმა საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიისადმი. ეს, რა თქმა უნდა, კარგია და ღირსია წაქეზების, ოღონდ, ზოგიერთი საკითხის გაშუქებისას, მით უფრო, თუ ეს საკითხი სადავოა, მკვლევარს განსაკუთრებული დაკვირვება, ცალკეული ფაქტების შემოწმება და მათი დაზუსტება მართებს. ყოველთვის როდი შეიძლება მარტო წერილობით საბუთებს დავეყრდნოთ.

ამას წინათ „ლელოში“ (28 აგვისტოს ნომერი) დაიბეჭდა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ზ. შერაზადიშვილის სტატია სათაურით: „საინტერესო საბუთები“.

ზ. შერაზადიშვილს ვიცნობთ, როგორც ნიჭიერ, მზარდ მკვლევარს. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1900-1917 წ. წ.)“, რომელშიც ყურადღებას იპყრობს მასალის საფუძვლიანი ცოდნა, გააზრებული ანალიზი და დასკვნები. გაზეთ „ლელოში“ მოთავსებული მისი წერილი („საინტერესო საბუთები“) აუცილებლად ყურადსაღებია, მაგრამ ჩვენ, როგორც ამ სტატიაში აღწერილი ამბების მომსწრენ, გვსურს რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ.

1905-დან 1914 წლამდე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. ტანვარჯიშს იასონ გაბაშვილი მასწავლიდა. ამიტომ, ბუნებრივია, მას კარგად ვიცნობდი და ამ პერიოდში მისი მოღვაწეობის მოწმეც ვარ.

მინდა შევეხო ქუთაისის „სოკოლის“ დაარსებას და ლიკვიდაციის თარიღებს.

1909 წლის შემოდგომაზე, თბილისის გიმნაზიების, პროგიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეებმა ქუთაისში ექსკურსია და ტანვარჯიშული გამოსვლა მოაწყეს. მას შემდეგ, 1910-1911 სასწავლო წლიდან ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ტანვარჯიშში მეცადინეობა უკვე „სოკოლის“ სისტემით ტარდებოდა, ხოლო დაწინაურებულ მოსწავლე ტანმოვარჯიშეებისგან შედგა ტანმოვარჯიშეთა ჯგუფები, რომელთაც „სოკოლის“ ჯგუფებს უწოდებდნენ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოება „სოკოლი“ როდი იყო.

ქუთაისში ამ საზოგადოების დაარსება რამდენიმეჯერ ცადეს, მაგრამ პირველ ხანებში ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. ასე მოხდა 1910 წელსაც, როცა შტამპიც შეუძენიათ და ექიმ ხუნდაძის ლექციაც ჩატარებულა. მაგრამ „სოკოლის“ საქმიანობა ამით ამოიწურა. ფაქტიურად ეს საზოგადოება ქუთაისში ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა მხოლოდ 1912 წელს, როცა საქმეში ქუთაისის გუბერნატორი სლავინსკი ჩაერია. საზოგადოებას პირადი მაგალითი უჩვენა და თავადაც დაიწყო ვარჯიში. მეცადინეობა რეალური სასწავლებლის დარბაზში ტარდებოდა. საზოგადოებაში ირიცხებოდა მხოლოდ 42 წევრი, რომელთაგან მეცადინეობაზე 10-15 კაცი თუ დადიოდა.

ზ. შერაზადიშვილს სანდოდ არ მიაჩნია ქუთაისის „შევარდენის“ ორგანოში — ჟურნალ „შევარდენში“ (№ 1, 1920 წ.) მოთავსებული ცნობა, რომ „სოკოლი“ ქუთაისში 1912 წელს დაარსდა. სტატია, რომელშიც აღნიშნული ცნობაა მოყვანილი, აკაკი კაკაბაძეს ეკუთვნის. იგი რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, ჩემი თანაკლასელი, მოსწავლე-ტანმოვარჯიშეთა ჯგუფის წევრი იყო. კაკაბაძე, რა თქმა უნდა, არ ცდება და, ბუნებრივია, ადასტურებს იმას, რისი მოწმეც თავად გახლდათ. იგი წერს, რომ ქუთაისის „სოკოლი“ 1912 წელს დაარსდა. ქუთაისის და საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე კაკო კაკაბაძე სპორტში შემთხვევითი პიროვნება რადია. 1919-1921 წლებში იგი ქუთაისის „შევარდენის“ ვარჯიშთავის დათა ჯავრიშვილის მოადგილე იყო (ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. კაკაბაძე 1964 წელს გარდაიცვალა).

რაც შეეხება „სოკოლის“ ლიკვიდაციას, ეს 1912 წლის დამლევს მოხდა. უფრო სწორად, საზოგადოება თავისთავად დაიშალა. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო. ქუთაისი თავისი მოსახლეობით ნამდვილი ქართული ქალაქი გახლდათ. მართალია, საქართველოს პირობებში „სოკოლის“ მონარქისტული სულისკვეთება რამდენადმე ნეიტრალიზებული იყო, მაგრამ თავის ელფერს იგი მაინც ინარჩუნებდა. აი, ნამდვილი მიზეზი ქუთაისში საზოგადოება „სოკოლის“ ძალზე ნაკლები პოპულარობისა. არც 1914 და 1915 წელს და, მით უმეტეს, არც 1916-1919 წლებში ეს საზოგადოება ქუთაისში აღარ არსებობდა, იმას, რომ რუსეთის „სოკოლის“ კავშირის ორგანოში — „ვესტნიკ რუსკოგო სოკოლსტვა“-ში 1914 წელს მოხსენებულია ქუთაისის „სოკოლი“, ჩვენ შემდეგი გარემოებით ვხსნით: ცნობილია, რომ რუსეთის „სოკოლის“ კავშირი ხშირად უსაყვედურებდა ცალკეულ საზოგადოებებს, რომ ისინი საჭირო მასალებს და ანგარიშებს არ უგზავნიან ცენტრს. ამიტომ კავშირს თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებათა და მათი წევრების ნამდვილი რაოდენობა დაზუსტებული არა ჰქონდა. ასეთ პირობებში, ალბათ, ქუთაისის „სოკოლი“ (შესაძლოა, რომელიმე სხვაც) მექანიკურად შემორჩათ სიაში. 1915 წლის სექტემბრამდე მე ქუთაისში ვცხოვრობდი, ერთი დღითაც არ გამიწყვეტია კავშირი ტანვარჯიშულ მოძრაობასთან და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ 1912 წლის შემდეგ იქ საზოგადოება „სოკოლი“ აღარ არსებობდა.

1918 წელს ქუთაისში შეეკრიბეთ რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტები. რეალური სასწავლებლის ყოფილმა მოსწავლეებმა ვინახულეთ ჩვენი მასწავლებელი იასონ გაბაშვილი. ეს შეხვედრა ჩვენზე ნაკლებ არც მას გახარებია. წინადადება მოგვცა მონაწილეობა მიგვიღო ტრადიციულ ტანვარჯიშულ გამოსვლაში, რომელიც რეალურ სასწავლებელში ეწყობოდა სწავლის დამთავრების შემდეგ. დავთანხმდით. ცალკე ჯგუფში, რომელსაც „ყოფილი რეალისტების“ [illegible] დით აკაკი კაკაბაძე, გრიგო ჩარაძე, სა- შა და პავლე თევდორაძეები, მე და სხვანი (ჩვენ ხომ მოწაფეობის დროს დაწინაურებულ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფში ვირიცხებოდით).

1919 წლის გაზაფხულზე კვლავ შეგხვდით საყვარელ მასწავლებელს. იასონი აღფრთოვანებული იყო. გვიამბო, მალე ქუთაისში ქართული საზოგადოება „შევარდენი“ დაარსდებაო, თბილისიდან ერთ-ერთ უძლიერეს ტანმოვარჯიშეს — დათა ჯავრიშვილს გამოგზავნიან, ის ვარჯიშთავი იქნება და მე საზოგადოების თავმჯდომარეო. 1919 წლის შემოდგომაზე ქუთაისში მართლაც დაარსდა ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“, რომლის ვარჯიშთავად საქართველოს ბრწყინვალე ტანმოვარჯიშე დათა ჯავრიშვილი დაინიშნა, მაგრამ იასონ გაბაშვილი ვერ მოესწრო მისი ოცნების ასრულებას. იგი 1919 წლის აგვისტოს დამლევს გარდაიცვალა.

ორიოდე სიტყვა იასონ გაბაშვილის და ანტონ ლუკეშის ურთიერთობის შესახებ. უნდა აღვნიშნო, რომ მათ შორის მეტად გულითადი და მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. ლუკეში რევმატიზმით იყო დაავადებული და ერთ ხანს წყალტუბოში მკურნალობდა. ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრები მათი ნამდვილი ზეიმი იყო. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის მოწმე მეც ვყოფილვარ და ამას გარდა, ბევრი რამ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწის — გურგენა ეგნატაშვილისგანაც მსმენია.

რაც შეეხება თბილისის „სოკოლის“ გიმნაზიარხის წერილს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორისადმი, — ლუკეში არ იყო ისეთი უტაქტო ადამიანი, რომ ბლაჟეკისთვის ეშუამდგომლა, თუ ქუთაისის „სოკოლის“ ხელმძღვანელად უკვე ი. გაბაშვილი მუშაობდა. ბარათი 1910 წლის ივლისშია დაწერილი, მაშინ ზემოხსენებული საზოგადოება ქუთაისში ჯერ კიდევ არ არსებობდა და სწორედ ამან მისცა ზნეობრივი უფლება ლუკეშს რეკომენდაცია გაეწია ბლაჟეკისთვის. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი პრაქტიკულად გაცილებით ძლიერი იყო ი. გაბაშვილზე.

ანტონ ლუკეშს საქართველო უყვარდა. მან ბრწყინვალე მოვარჯიშეები და პედაგოგები აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. ბევრი მისი მოწაფე და მოწაფეთა მოწაფე დღესაც ხელმძღვანელობს საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას და ამ ადამიანის მოღვაწეობის შეფასებისას ცოტა მეტი სიფრთხილე გვმართებს.

ქუთაისის „სოკოლში“ ბლაჟეკის საქმიანობა ძალზე შეზღუდულია საზოგადოების არსებობის მოკლე დროით (8 თვე). ამით აიხსნება ამ საზოგადოების შესახებ მასალების სიმცირეც. რაც შეეხება ბოგუსლავ ბლაჟეკის მოღვაწეობას ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, იგი ნაყოფიერი გამოდგა. ბლაჟეკი უმაღლესი თანრიგის და ერთობ ძლიერი მოვარჯიშე იყო, ამასთან, საკმაოდ გამოცდილი პედაგოგიც გახლდათ. მან მაღალ დონეზე დააყენა ტანვარჯიშის სწავლება გიმნაზიაში და აღზარდა პირველხარისხოვანი ტანმოვარჯიშეები (ჯიქია, ჯანაშია, შსვიცაბაია, ნაკაშიძე, შენგელია და სხვ.). იმავე გიმნაზიაში ბლაჟეკმა დაწინაურებულ მოსწავლე ტანმოვარჯიშეთაგან ჩამოაყალიბა ისეთივე „სოკოლის“ ჯგუფი, როგორიც 1910 წელს რეალურ სასწავლებელთან დაარსდა, სასწავლო წლის დამლევს კი აწყობდა მოსწავლეთა ტანვარჯიშულ გამოსვლებს.

რაც შეეხება ი. გაბაშვილის მოღვაწეობას, ეს ცალკე საკითხია. ზ. შერაზადიშვილი ამ საკითხს ნაწილობრივ შეეხო „ლელოს“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში და 1965 წელს გამოცემულ წიგნში. მე მას სავსებით ვეთანხმები ამ ნაშრომებში მოტანილი ფაქტების შეფასებაში. ი. გაბაშვილი თავისი ენერგიითა და ენთუზიაზმით დიდად უწყობდა ხელს ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას.

პროფ. მ. გორგაძე,
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

უნდა გამოიყენოს ახალგაზრდობის მზიდვასთვის: „რა არის მთავარი დღევანდელი ახალგაზრდობისთვის? რით შეიძლება მიიზიდოს იგი ეკლესიამ? — ვიფიქრე მე, — ღმერთის დახმარებით პასუხი ვიპოვე: სპორტი და, პირველ ყოვლისა, ფეხბურთი. დაე, მარტო ღვთის მსახური კი არა, მწვრთნელიც ვიყო. დავამთავრე კურსები და ადგილობრივ გუნდს ვავარჯიშებ. ახლა საშუალება მაქვს ახალგაზრდებს ღმერთზე ვესაუბრო არა მარტო ეკლესიაში, სტადიონზე ვარჯიშის დროსაც.

ასე რომ, ერთ ხელში ჯვარი, მეორეში — ბურთი.

● **დანაშაული მიუძღვით... ცხვრებს**

ავსტრალიის საჩოგბურთო კავშირმა გამოიკვლია ამ ქვეყანაში ჩოგბურთის ჩამორჩენის მიზეზი. ერთ დროს უძლეველმა ავსტრალიელმა ასებმა აშკარად დათმეს პოზიციები. ვის მიუძღვის ბრალი? ერთნი მწვრთნელებს ადანაშაულებენ, მეორენი — ბევით სპორტსმენებს, სხვები — ხელმძღვანელობას. მაგრამ სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა ავტორიტეტულად განაცხადა, ყველაფერში დამნაშავე ცხვრები არიანო.

საქმე ის არის, რომ ერთ დროს ჩოგნების ლარებს ცხვრის ნაწლავებისგან ამზადებდნენ. ამ ბოლო ხანს შენიშნეს, რომ ლარების ხარისხი, სიმაგრე და დრეკადობა საგრძნობლად გაუარესდა. ავსტრალიელი ჩოგბურთელები იძულებული გახდნენ ხელოვნური მასალისგან დამზადებული ლარები გამოეყენებინათ: რატომ დაქვეითდა ასე ავსტრალიური ცხვრის ნაწლავების გამძლეობა? სპეციალისტები ამტკიცებენ: „ეს გამოიწვია ხელოვნურმა კვებამ, იმან, რომ ახლა ამ მიზნით იყენებენ ყოველგვარ ქიმიკატებს, ადრე კი ცხვარი ავსტრალიის საძოვრების გემრიელ ბალახს ძოვდაო“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ საცოდავი ცხვრები დამნაშავენი იყვნენ ავსტრალიელი ჩოგბურთელების წარუმატებლობაში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ავსტრალიაში გადაწყდა იოლიონ ცხვრის ფარა, რომელსაც საგანგებოდ გამოკვებავენ მხოლოდ ბალახით, რათა შემდეგ მათი ნაწლავებიდან ჩოგნის ლარები დაამზადონ. დაეხმარებათ კი ეს ავსტრალიელებს, დაკარგული დიდების დაბრუნებაში?



მსრიდან

მეორე ოლიმპიადისწინა კვირეული

როგორც ცნობილია, ტოკიოს ოლიმპიადამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, იაპონიის დედაქალაქში გაიმართა ოლიმპიური კვირეული, რამაც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, დადებითი როლი შეასრულა თამაშების მაღალ დონეზე გამართვაში. იაპონელთა მსგავსად, წინა ოლიმპიური კვირეულის გამართვა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმაც განიზრახა და შესაბამისი მიწვევა ყველა ქვეყანას გაუგზავნა.

ამას წინათ მეხიკოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა: ოლიმპიურ კვირეულში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მსოფლიოს 26 ქვეყანამ: საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, იტალიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, სსრ კავშირმა, შვეიცარიამ, იუგოსლავიამ, ფინეთმა, ავსტრიამ, ბულგარეთმა, ბელგიამ, კანადამ, ჩეხოსლოვაკიამ, კუბამ, აშშ-მ, პანამამ, ... ეთმა, ჩილიმ, პერუმ, ნორვეგიამ, გდრ-მ, გფრ-მ და ... ბათა პროგრამაში კი მხოლოდ ველოსპორტი, ცურვა, ტანვარჯიში, ჭიდაობა, ფრენბურთი, ფარიკაობა, მძლეოსნობა, კრივი და ნიჩბოსნობაა. მართალია, ოლიმპიადისწინა კვირეულზე ყველა ქვეყანა სრულ გუნდებს არ გაგზავნის, მაგრამ, მეხიკოში 500 სპორტსმენის ჩასვლას მაინც მოელიან.

ღვაწლმოსილი მწვრთნელის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სიდნეი ჯეკსონი პირველ მსოფლიო ომამდე ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი მოკრივე იყო უმჩატეს წონაში. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ამერიკელი მოკრივე რუსეთში ჩამოვიდა და სამუდამოდ აქ დარჩა. მან მიიღო საბჭოთა ქვეშევრდომობა, მონაწილეობდა უზბეკეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლებში, შემდეგ მან მთელი თავისი სიცოცხლე საწვრთნელ მუშაობას შეწირა. თითქმის 65 წელი ემსახურა ს. ჯეკსონი სპორტს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოკრივე აღზარდა. ღვაწლმოსილი მწვრთნელის ხსოვნის უკვდავსაყოფად დადგინდა ყოველწლიურად მოეწყოს რესპუბლიკის პირველობა და უმჩატეს წონაში გამარჯვებულს მიენიჭოს ჯეკსონის სახელობის პრიზი. და აი, მისი პირველი მფლობელი გახდა 22 წლის ტაშკენტელი მოკრივე ვ. მინი, რომელმაც I ადგილი დაიკავა უზბეკეთის ჩემპიონატზე უმჩატეს წონაში.

„ინტერპრეს-ფოტო 66"



სურათზე: ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც წარმოდგენილია „ინტერპრეს-ფოტო 66" საერთაშორისო გამოფენაზე. ეს არის კოლუმბიელი ა. ანჟელის — „დოღი".

ფეხბურთი

ფეხბურთი ნელ-ნელა ემსგავსება... ჭადრაკს. ტყვიის ბურთის ოსტატებს, ჭადრაკის დიდოსტატებივით აღარ აქვთ მოსვენება. ახლახან დამთავრდა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა ფორუმი და აი, დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ტურნირი—ევროპის პირველობა, რომელიც 2 წლის შემდეგ გავა საფინიშო სწორზე.

1966 წლის 22 თებერვალს ევროპული ფეხბურთთა მესვეურებმა ციურიხის სასტუმრო „ხენ-გოტარდში" „საათები ჩართეს". შეჯიბრების მონაწილენი მაგიდებს მიუსხდნენ და დაიწყო კენჭისყრის საზეიმო ცერემონიალი, რომელმაც კონტინენტის 31 საფეხბურთო ქვეყანა ჯგუფებად დაანაწილა.

არ გასულა დიდი დრო და ახალბედა ტურნირმა პირველი სენსაციური ცნობა შემოგვთავაზა. სიურპრიზი როტერდამიდან მოვიდა, სადაც ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა — უნგრეთმა 7 სექტემბერს რის ვაი-ვაგლახით დაიღწია თავი ჰოლანდიელებთან მარცხს — 2:2. უნგრეთის ნაკრებისათვის, რომელიც ჰოლანდიის, გდრ-ისა და დანიის გუნდებთან ერთად V ჯგუფში ასპარეზობს, პირველი მატჩი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს. ვერავინ, მათ შორის ისეთი მაღალი კლასის გუნდი, როგორიც უნგრეთია, ვერ უარყოფს ძველისძველ ჭეშმარიტებას, რომ სუსტი მეტოქეც პატივისცემას და მოწიწებას იმსახურებს.

მაინც რა ტურნირია ევროპის პირველობა, რომლის დაწყებასაც ასე მოუთმენლად მოელიან ამერიკაშიც და აფრიკაშიც, აზიაშიც და ავსტრალიაშიც? ევროპის ჩემპიონატის წინაშე დიდი და საპატიო ამოცანა დგას. მან უნდა დაადასტუროს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის ავტორიტეტულობა. მან, როგორც ყველა სხვა შეჯიბრებამ, ორბიტაზე უნდა გაიყვანოს ახალი ვარსკვლავები და ღირსეულად შეცვალოს თავისი წინამორბედი — ტურნირი, რომელსაც ადრე „ევროპის თასი" ეწოდებოდა.

...ამ ისტორიას დასაბამი 1960 წელს მიეცა, როცა საფრანგეთში, ეროვნული გუნდების დონეზე, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ფეხბურთელები (ეს 4 კოლექტივი წარმატებით „ვაძვრა" წინასწარ შეჯიბრებათა „საცერში") საფრანგეთის სამხრეთის ქალაქმა მარსელმა ფინალის საგზური მისცა სსრ კავშირის ნაკრებს, რომელმაც საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიშით დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 3:0. ფინალური მატჩი გაიმართა პარიზში 10 ივლისს. საბჭოთა ფეხბურთელებმა მწვავე ბრძოლაში, დამატებით დროში სძლიეს იუგოსლავიელებს (2:1) და ევროპის თასის პირველი ლაურეატები გახდნენ. აი, რა შემადგენლობით ითამაშა საბჭოთა გუნდმა: იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

4 წლის შემდეგ „დიდი ოთხეული" ესპანეთში შეიკრიბა. ძველი მეტოქეებიდან მასში მხოლოდ საბჭოთა ფეხბურთელები მოხვდნენ. საპატიო ჯილდოს მათ ამჯერად უნგრელები, დანიელები და ესპანელები ეცილებოდნენ. ჩვენი გუნდი ნახევარფინალში დანიელებთან წარმატების შემდეგ (3:0) ფინალში ესპანეთის ნაკრების წინაშე წარსდგა. სსრ კავშირის გუნდის მწვრთნელმა კ. ბესკოვმა გადაახალიშა მოთამაშეთა შემადგენლობა, რაც მას თასის დაკარგვის ფასად დაუჯდა. ესპანელებმა ფინალური ბრძოლა მოიგეს ანგარიშით 2:1. ჩვენი გუნდის ღირსებას იცავდნენ: იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, მუდრიკი, ვორონინი, კორნეევი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, ჭუსაინოვი.

...და აი, ბრძოლა ხელახლა დაიწყო, მაგრამ ტურნირმა ამჯერად ჩემპიონატის სტატუსი მიიღო. სსრ კავშირის ნაკრები კენჭისყრით III ჯგუფში მოხვდა, სადაც ავსტრიის, საბერძნეთისა და ფინეთის გუნდები გამოდიან.

წინასწარ თამაშებს საბჭოთა ფეხბურთელები ჩაატარებენ 1967 წელს მოსკოვში (მაისი, ივლისი, აგვისტო) და მეტოქეთა მინდვრებზე (სექტემბერ-ოქტომბერი). შეხვედრები ჯგუფებში უნდა დამთავრდეს 1968 წლის 1 იანვრამდე. ხოლო იმავე წლის ივლისში უკვე ცნობილი იქნება საპატიო წოდების მფლობელი.

ჯერ თასი, შემდეგ ჩემპიონატი

„მანჩესტერ იუნაიტედი" ახალგაზრდავდება

ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთო კლუბის — „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში სამი მეკარე მონაცვლეობს: პატ დანი, დეიე გუსკელი და ჰარი გრეგი. წლევანდელ სეზონის პირველივე მატჩებმა გამოირკვა, რომ სამივე საკმაოდ მობერდა და გუნდის კარის დაცვის ფუნქციებს ვერ ასრულებს. კლუბის ხელმძღვანელობამ მყისვე მიიღო ზომები — ლონდონის „ჩელსიდან" 60 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა ახალგაზრდა ა. სტეპანი, რომელიც წლების განმავლობაში ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრების კარს იცავდა. როგორც ინგლისის პრესა აღნიშნავს, სტეპანისთვის გაღებული თანხა სარეკორდოა. მსოფლიოს არც ერთი მეკარე ამაზე ძვირად არ გაყიდულა. საყურადღებოა, რომ ორი კვირის წინ ა. სტეპანი „ჩელსიმ" „მილუოლისგან", იყიდა, მაგრამ „ჩელსის" მეკარე ჰ. ბონგტი ისეთ ფორმაშია, რომ მას შემცვლელი არ დასჭირდება.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ერთგვარ კრიზისს განიცდის. დაბერდა „სტოპერი" ფოუჭი. კლუბის მეცენატებმა ახალგაზრდა მ. ინგლენდის ყიდვა დააპირეს, მაგრამ „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" დაასწრო და ინგლენდი უკვე ამ გუნდში თამაშობს. მანჩესტერელთა მწვრთნელი მ. ბასბი „ახალ თაობას" აწინაურებს. თითქმის ყოველ შეხვედრაში თითო ახალი ფეხბურთელი გამოჰყავს. (ანდერსონი, ასტონი, ფიოცპატრიკი). 22 წლის ჯ. ბერტი კი უკვე სამი წელია, რაც ბრიტანეთში უძლიერეს გარეკარბად ითვლება.

ჯერჯერობით კი „მანჩესტერ იუნაიტედი" ფონს დ. ლოუსა და რ. ჩარლტონის ბრწყინვალე ოსტატობის წყალობით გადის.

(საკ. ინფ.).

მძღეოსნური მერიდიანებზე

ბერგამო. მძღეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 110 მ თარჯრბენში ოტოზმა (იტალია) 13,6 აჩვენა. ეს შედეგი სეზონში ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

პაიულაჰტი. ჰოკით ხტომაში ფინეთს რეკორდს (5 მ), რომელიც მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს ბ. ნიკულას ეკუთვნის, თანააკეტორი გაუჩნდა. ეს არის 23 წლის ა. კაირენტო, რომელმაც აქ გამართულ შეჯიბრებაში 5 მეტრი ღაღია.

ბალვე. ნორვეგიის ახალი რეკორდი დაამყარა ბ. ბანგ-ანდერსენმა, რომელმაც ბირთვი ჰკრა 18,30 მეტრზე, მაგრამ II ადგილი დაიკავა. პირველი იყო ამერიკელი ნ. სტეინჰაუერი — 19,61.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ფუდბოლის სპორტულ ბუნებაზე

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი). დღეს — დუბლშემადგენლობანი. ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს.

ჰანდბალი. ცენტრალური საჰანდბალო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 21 სექტემბერი-2 ოქტომბერი. თბილისის პირველობის მეოთხედფინალები. დასაწყისი 18 ს.

„ლელო"

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე. გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-80, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-11, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამოშვები — 3-93-81.